

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაზე, მოქალაქეების რომალია ჯალაბაძისა და გელა, შოთა და ქრისტინე მიშველიძეებისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაში მცხოვრები მოქალაქეების რომალია ჯალაბაძის, გელა, შოთა და ქრისტინე მიშველიძეების განცხადება /2012 წლის 25.04 №3423/, რითაც ითხოვენ საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N8 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოთ მოქალაქეებს რომალია ჯალაბაძეს, გელა, შოთა და ქრისტინე მიშველიძეებს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაზე /საერთო ფართობი 67,30 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 42,80 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,50 კვ.მ./ მოქალაქეების რომალია ჯალაბაძის, გელა, შოთა და ქრისტინე მიშველიძეების სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე